



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულოს თავჯდომარე**



ბრძანება:ბ49.49220692

თარიღი:10/03/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 7 მარტის N48-4822066131 წერილი, რომლითაც მერი შემოდის წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხი, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 11 მარტს, 14:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 მაისის #39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი მაკა ჭელიძე/

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მალლაკში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ. ( ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი რევაზი დიდავა /

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით,

გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი რევაზი დიდავა/

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი რევაზი დიდავა/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

- ა) ბრძანების გამოქვეყნება;
- ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
- გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 13:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

